ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №2.

(ავტომანქანის იჯარით გაცემის შესახებ)

ქ. რუსთავი -----3---- იანვარი 2012 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ააიპ „რუსთავის კორპუსი" (ს/კ 416289536) რომელიც წარმოდგენილია მისი დირექტორის კობა ლომიძე (შემდგომში „მოიჯარე") სახით და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი ზურაბ ტატიკიშვილი, პირადი ნომერი 01030004659, პირადობის მოწმობა № დ 0636592, მცხოვრები ქ. თბილისი ფალიაშვილის ქ. 96 ბინა 6. (შემდგომში „მეიჯარე"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე თავის მფლობელობაში არსებულ ავტომანქანას, რომლის მოდელია **BMW 535 სახელმწიფო ნომრით NIK 135** (შემდგომში „ავტომანქანა") დროებით სარგებლობაში გადასცემს მოიჯარეს.

2.ხელშეკრულების პირობები

მეიჯარე ვალდებულია:

2.1. ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე გადასცეს მოიჯარეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ავტომანქანა (ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით) დროებითი სარგებლობისთვის.

2.1. უზრუნველყოს მოიჯარესათვის ავტომანქანის გადაცემა უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში.

მეიჯარეს უფლება აქვს:

2.2. მოითხოვოს მოიჯარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესრულება.

მოიჯარე ვალდებულია:

2.3. დროულად გადაუხადოს მეიჯარეს საიჯარო ქირა.

2.3 გაუფრთხილდეს ავტომანქანას, ხოლო მისი დაზიანების შემთხვევაში, სრულად აღადგინოს ავტომანქანის ექსპლუატაციის დროს დაზიანებული დეტალები.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ დაუბრუნოს მეიჯარეს ავტომანქანა.

მოიჯარეს უფლება აქვს:

2.4. მოითხოვოს მეიჯარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება.

2.4. შეუზღუდავად ისარგებლოს ავტომანქანით წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2012 წლის 1 აპრილამდე.

4. საიჯარო ქირა და მისი გადახდის პირობები

4.1. საიჯარო ქირა შეადგენს ყოველთვიურად 250 (ორასორმოცდაათი) ლარს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4.2. იჯარის მიერ საიჯარო ქირის გადახდა მოხდება თვეში ერთხელ, ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

4.3. ანგარიშსწორება განხორციედება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

5. დასკვნითი დებულებები

5.1. ყველა ის ურთიერთობა, რაც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რომელიც წერილობითი უნდა იყოს. ზეპირ გარიგებებს ძალა არა აქვთ.

5.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე, თუკი ამის შესახებ ერთ-ერთი მხარე წერილობით შეატყობინებს მეორე მხარეს 3 (სამი) დღით ადრე.

5.4. მხარეთა შორის წამოჭრილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

5.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება მეიჯარესთან, ხოლო ერთი – მოიჯარესთან.

6. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

მოიჯარე	მეიჯარე
ააიპ „რუსთავის კორპუსი"	ფიზიკური პირი: ზურაბ ტატიკიშვილი
საიდ. კოდი 416289536	პირადი ნომერი 01030004659
სს „ლიბერთი ბანკი"	ქ. თბილისი ფალიაშვილის ქ. 96-6
რუსთავის ფილიალი	სს „ლიბერთი ბანკი" რუსთავის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22	ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE40LB 0115127581564000	ანგ/ნომერი 711152329184000
დირექტორი	
_____	_____